პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

სამშაბათი
10
იანვარი
1937 წ.
№ 2 (89)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგმა სტალინმა მიიღო გერმანელი მწერალი ლ. ფეიხტვანგერი

8 იანვარს ამხანაგმა სტალინმა მიიღო გერმანელი მწერალი ლ. ფეიხტვანგერი. საუბარი გაგრძელდა სამ საათზე მეტს.

668 სპეციალისტი სოციალისტურ მშენებლობას.

Სოციალიზმის სამშობლოში, საბჭოთა კავშირში დამყარდა ის ბედნიერი ცხოვრება, რომელზედაც საუკუნოებით ოცნებობდნენ კაცობრიობის მოწინავე ადამიანები. საბჭოთა კავშირი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გადაიქცა სიხარულისა და ბედნიერების ქვეყნად.

საბჭოთა ქვეყნის თავისუფალი და ბედნიერი ხალხები შეიარაღებულნი, დიადი სტალინური კონსტიტუციით, ურღვევი სტალინური მეგობრობით გაერთიანებულნი მტკიცედ მიდიან კომუნიზმის ახალ გამარჯვებებისაკენ.

აყვავდა და განვითარდა ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილნი ნაციონალური რესპუბლიკები. კერძოდ უდიდესია ის მიღწევები, რომელიც ორდენოსანმა საქართველომ მოიპოვა. საუკუნოების განმავლობაში დაბეჩავებულმა და დაჩაგრულმა ქართველმა ხალხმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოიპოვა ყველა შესაძლებლობა ნაციონალური კულტურის განვითარებისა, მოძმე რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირში ორდენოსანმა საქართველომ ფართოდ გაშალა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

„მეცნიერებამ, ტექნიკამ, ხელოვნებამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 16 წლის მანძილზე ისეთ მაღალ დონეს მიაღწიეს, როგორსაც ისინი სხვა პირობებში ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ“ („პრავდა“).

ბედნიერია საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობა ისე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის სოციალიზმის სამშობლოს ახალგაზრდობა. არც ერთ ქვეყანაში არ ეპყრობიან ისეთი მზრუნველობით და სიყვარულით ახალგაზრდობას, როგორც სტალინის ქვეყანაში. არც ერთ ქვეყანაში არ ზრუნავენ ახალგაზრდობისათვის ისე, როგორც საბჭოთა კავშირში. ჩვენი ქვეყანა აძლევს ყოველგვარ საშუალებას ადამიანის ნიჭის გაფურჩქვნისა „რომ ყველამ განავითაროს და გამოიჩინოს მთელი თავისი ნიჭი როგორც ფიზიკური, ისე სულიერი“. (ენგელსი).

დიდი სტალინის მამობრივი სიყვარულით და მზრუნველობით, პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღებით გარემოცულ, ჩვენს ახალგაზრდობას შექმნილ აქვს ყველა პირობა სწავლისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური მზრუნველობით, კერძოდ, ა.-კ. ბოლშევიკების საუკეთესო ხელმძღვანელის, ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის ამხ. **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით და შეუნელებელი ყურადღებით უნივერსიტეტმა უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდი წარმატებებს მიაღწია. სახელმწიფო უნივერსიტეტი 9 ფაკულტეტით, 60 კათედრით, 500-დე მეცნიერული მუშაკით, 5,000-მდე სტუდენტით, თავის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტებით და საგამომცემლო პოლიგრაფიული ბაზით შეიქმნა მეცნიერებათა ახალი კადრების მნიშვნელოვანი კერა საქართველოში.

სასწავლო სამეცნიერო მუშაობის გაუმჯობესებითა და სტუდენტთა აკადემიური მომზადებით მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია საბჭოთა მოწინავე უნივერსიტეტებს შორის. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ჩვენს უნივერსიტეტში ხშირად მოდიან მოძმე რესპუბლიკებიდან მეცნიერები სამეცნიერო კვალიფიკაციისა და კონსულტაციის მისაღებად, სხვადასხვა სამეცნიერო თემების დასამუშავებლად, ჩვენი სპეციალისტების მოსასმენად და ა. შ.

სახელმწიფო უნივერსიტეტს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ მან ჩვენ სოციალისტურ სამშობლოს მისცეს ნამდვილი გამოწრთობილი სტალინური კადრები.

წელს პირველად ჩატარდა უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდები. უნივერსიტეტი სექტემბრიდან შეუდგა სახელმწიფო გამცდებისათვის სამზადისს. დეკემბერში ორგანიზაციულად, ზუსტი გეგმით და დაუბრკოლებლივ ჩატარდა გამოცდები. უნივერსიტეტი უშვებს მაღალი კვალიფიკაციის ცოდნით აღჭურვილ კადრებს, რომელთაც 1936 წელს დაამთავრეს კურსი და ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები. გამოცდებზე დაშვებული 668 კაციდან გამოცხადდა 466 კაცი. აქედან გამოცდები ჩააბარა 408 კაცმა ე. ი. 87 პროც.-მა, რაც ფრიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. მათ რიცხვში 160 ფრიადოსანია, რომლებმაც პირველ ხარისხოვანი დიპლომი მიიღეს, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით ჩატარებულ გამოცდებზე სტუდენტობამ გამოამჟღავნა მეტი მომზადება, საგნის საფუძვლიანი ცოდნა, ზოგადი კულტურული განათლება და მაღალი პოლიტიკური დონე.

ბედნიერ, საამურ და სასიხარულო ცხოვრების მქონე საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ მშენებლობას უნივერსიტეტი აძლევს ახალ მეცნიერულ ცოდნით აღჭურვილ ბოლშევიკურ კადრებს, ლენინ-სტალინის პარტიის მგზნებარე ადამიანებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფნის დროს კურსდამთავრებულებმა მიიღეს საკმაო დიდი თეორიული ცოდნა, მნიშვნელოვანი გამოცდილება, სერიოზული პარტიულ პოლიტიკური აღზრდა, სოციალისტური სამშობლოსათვის პირველი ორგანიზაციული წრთობა, მაგრამ ყველაფერი ეს ცოტაა: მთავარი ჯერ კიდევ წინ არის.

— „მიემგზავრებიან რა სოციალისტურ სოფელში პრაქტიკულ სამუშაოზე სკოლაში კურსდამთავრებულ ამხანაგებს მტკიცედ უნდა ახსოვდათ ხალხთა ბელადის **დიდი სტალინის** მითითება, რომ „სკოლა—ეს მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია. კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალ სამუშაოზე, სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლისას, სიძნელეთა გადალახვისას“ (ლ. ბერია).

ბელადის ეს მითითება მტკიცედ უნდა ახსოვდეს სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ამხანაგებს. ისინი მიდიან რა სოციალისტური მშენებლობის საპასუხისმგებლო უბნებზე, უნდა ახსოვდეთ, რომ მთავარია თუ როგორ იმუშავებენ ისინი პრაქტიკულად, როგორ შესძლებენ მოიხმარონ და გამოიყენონ ის თეორიული ცოდნა, რომელიც მათ მიიღეს ორდენოსან საქართველოს უმაღლეს მეცნიერების კერაში—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სახელმწიფო უნივერსიტეტი დარწმუნებულია რომ ახლად კურსდამთავრებულები, მშობლიური **დიდ სტალინისადმი** უდიდესი სიყვარულისა და განუსაზღვრელი ერთგულების გრძნობით გამსჭვალულნი, მთელ თავიანთ ენერგიას, ნებისყოფას, ცოდნას, გამოცდილებასა და ნიჭს მოახმარენ კომუნიზმის საქმეს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს და ამით გაამართლებენ საუკეთესო სპეციალისტის საპატიო სახელს.

კ. ორაგველიძე
პ. ხობუა
გ. ჯანელიძე
კ. კეკელიძე
გ. ხაჭაპურიძე
ა. ხარაძე
ი. სურგულაძე
გ. კვიცარიძე
ნ. კეცხოველი
ბ. ყავრიშვილი
შ. ცინცაძე
ვ. გეგეჭკორი
ე. ჩხენკელი

ვიბრძვით პირველობისათვის

სტალინური მზრუნველობა

აღფრთოვანებით შევხვდი ახალგაზრდა მეცნიერთა საკავშირო შეჯიბრებას. ირანოლოგიის დარგი, რომელშიც მე ვმუშაობ, უმძიმეს დარგადაა ცნობილი. თვითოეული საკითხის კვლევა მოითხოვს ყველა ევროპულ და აღმოსავლური ენების ცოდნას, დიდ დროსა და ენერგიას.

აღმოსავლეთის შესწავლით დიდი ხანია დაინტერესებულია მსოფლიო. ჩვენს უნივერსიტეტში ეს დარგი დღემდე სუსტადაა წარმოდგენილი, მაგრამ ახლო მომავალში იგი უნდა გადავაქციოთ მსოფლიო მაშტაბით აღმოსავლეთის შემსწავლელ მეცნიერულ დისციპლინების გზის ჰანათობელ შუქურა ვარსკვლავად.

თბ. სახ. უნივერსიტეტის ყოველმხრივი მზრუნველობით და დახმარებით შესაძლებლობა მომეცა დამეძლია ირანული ენა. ამჟამად ვმუშაობ თემაზე: „ახალი ირანული ლიტერატურის ჩასახვა და განვითარება“, რაზედაც ბევრს ფიქრობენ დასავლეთის ორიენტალისტები, მაგრამ გარს უვლიან და ხელშეუხლებლად ტოვებენ. ამ თემით ჩავები შეჯიბრებაში.

ვფიქრობ, რომ დავძლევ ამ თემას. ამის თავდებია ახალგაზრდა მეცნიერ ძალების მუშაობისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობები, რომელიც გვაქვს ჩვენ, სტალინური ეპოქის ბედნიერ ახალგაზრდობას.

დ. კობიძე.

* * *

ჩემი სიხარული

საკ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის მიერ საუკეთესო მეცნიერულ ნაწარმოებზე გამოცხადებულ საკავშირო კონკურსისათვის მე ვამუშავებ ორ თემას: 1) „კლასთა ბრძოლა ქართულ ხალხურ პოეზიაში“ და 2) „ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა„.

როგორც პირველი, ისე მეორე საკითხი აქამდე მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის მიერ თითქმის ხელშეუხებელია.

ქართული ფოლკლორის ყამირი გაუტეხავი იყო. უკანისკნელ დრომდე მის მეცნიერულად დამუშავებაზე არავის უფიქრია.

პარტია და ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევენ მშრომელი ხალხის გენიალურ ქმნილებათა შესწავლა-დამუშავებას. ცნობილია რომ ხალხური სიტყვიერება მასაზრდოებელი წყარო იყო მსოფლიო ლიტერატურის გოლიათებისა (შოთა რუსთაველი, გოეთე, შექსპირი, პუშკინი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.).

ასევე ითქმის მეორე თემაზედაც. ილია ჭავჭავაძე უმეცრებმა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოსაზრებათა მეცნიერული ანალიზი სასარგებლოა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ცხადია, ვგრძნობ უდიდეს პასუხისმგებლობას ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის. მთელი ჩემი ენერგიით შევეცდები გავამართლო კომკ. ავანგარდული როლი მეცნიერების ფრონტზე.

პირველ თემაზე მასალები უკვე შეგროვილი მაქვს და მის დამუშავებას მალე დავასრულებ. ხოლო მეორე თემა მოხსენების სახით წავიკითხე ასპ. სემინარში, სადაც ჩემმა ხელმძღვანელმა პროფ. **მიხ. ზანდუკელმა** მომცა მთელი რიგი გულისხმიერი მითითებანი, რომლის საფუძველზედაც შევასწორებ ხსენებულ შრომას და მოხსენების სახით წავიკითხავ მეცნიერ-მუშაკთა კონფერენციაზე თებერვლის თვეში.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გულთბილი და მშობლიური მზრუნველობა, რომელსაც ჩემდამი იჩენს პროფ. მ. ზანდუკელი, რაც უსათუოდ მისაბაძია ყველა მეცნიერთათვის.

პეტრე გიგიბერია.

ესპანეთის მეამბოხე ჯალათების ხელით დანგრეული წმ. კარლოს საავადმყოფო

მხურვალე ბოლშევიკური სალამი თეორიული ცოდნით შეიარაღებულთ, პრაქტიკული მუშაობისათვის სოციალიზმის ფრონტისაკენ მიმავალ ახალ კადრებს!

> ...„ტექნიკა რომ ავამოძრაოთ და ბოლომდე გამოვიყენოთ, საჭირო არიან ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, საჭიროა კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ და გამოიყენონ ეს ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით. ტექნიკა უადამიანებოდ, რომელთაც დაუფლებული აქვთ ტექნიკა, — მკვდარია. ტექნიკას იმ ადამიანების მეთაურობით, რომელთაც დაიუფლენ ტექნიკა, შეუძლია და კიდეც უნდა მოახდინოს სასწაულები".
>
> ი. სტალინი

კურსდამთავრებული ფრიადოსნები: გ. გვიშიანი, იური კაჭარავა, ვლ. შავგულიძე, გერ. ზაქარიაძე, ზ. ხირაძე.

> ...„მაგრამ ეს სკოლა მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია. კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალ სამუშაოზე, სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლისას, სიძნელეების გადალახვისას. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ მხოლოდ ის კადრებია კარგი, რომელთაც სიძნელეების არ ეშინიათ, რომლებიც სიძნელეებს არ გაურბიან, არამედ, პირიქით, სიძნელეებს ეგებებიან იმისათვის, რომ გადალახონ და ლიკვიდაცია უყონ მათ. მხოლოდ სიძნელეებთან ბრძოლაში იწრთობიან ნამდვილი კადრები".
>
> ი. სტალინი

მივემგზავრები რაიონისკენ

უნივერსიტეტში შემოსვლის დღიდან მიზნად დავისახე მესწავლა — „ფრიადზე" და აქტიური ვყოფილიყავ აგრეთვე საზოგადოებრივ-მასიურ მუშაობაშიც. ჩემი მიზანი განვახორციელე: ფრიადზე დავამთავრე ეკონომიური ფაკულტეტი, ვიყავი ფაკულტეტის პროფკომის თავ-რე, საბჭოს წევრი, 48 ჯგ. კომ. ჯგუფორგი. საუკეთესო მუშაობისათვის არაერთხელ დამაჯილდოვეს.

მივემგზავრები რაიონისაკენ სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე ჩემი წვლილის შესატანად.

კალე შეროზია.

ფრიადზე კურსდამთავრებულნი: ვ. მელიქაძე, ბ. ტოროტაძე, ნ. ხურციძე.

სტალინის ეპოქის შვილი ვარ

მხოლოდ სტალინური მზრუნველობისა და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სწორი ხელმძღვანელობის შედეგია რომ შევძელი ეკ. ფაკულტეტის ფრიადზე დამთავრება.

მთელი ჩემი ენერგიით ვიმუშავებ სოციალისტური სამშობლოს მრავალფეროვანი საქმიანობის იმ უბანზე, რომელიც მე დამეკისრება.

ვალერიან მელქაძე.

პროფ. ზ. ჩახვაძე

როგორ ვმუშაობთ ფრიადოსნებთან

სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის კათედრა სემესტრის დაწყებისთანავე შეუდგა მუშაობას ფრიადოსანთა შორის. ფრიადოსნებთან მუშაობის ერთ-ერთ მიზან წარმოადგენს ხელშეწყობა მათი ფრიადოსნებად დარჩენისათვის. ფრიადოსნების შენარჩუნებისა და მათი რიგების ზრდისათვის მუშაობა გაშლილი გვაქვს შემდეგნაირად:

სულ გვყავს 7 ფრიადოსანი და 15 შერჩეული სტუდენტი. მათი სია გადაცემული აქვს ყველა საგნის ხელმძღვანელს, რომელიც კათედრის მიერ მიცემული მითითების მიხედვით აწარმოებს მათ ინდივიდუალურ კონსულტაციებს მტკიცედ შედგენილი ცხრილით. საჭიროებისამებრ ფრიადოსანს ენიშნება დამატებითი ინდივიდუალური კონსულტაცია. აღრიცხვის მეცნიერებათა კაბინეტში. ფრიადოსნებისათვის გამოყოფილია სპეციალური სამუშაო ოთახი და თვითეულ მათგანს კაბინეტი ამარაგებს სასწავლო ლიტერატურით. ჩატარებულია ორი სპეციალური მეთოდიკური საუბარი: წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დაუფლებისა და სესიებისათვის მზადების შესახებ.

ფრიადოსნები მიმაგრებული არიან კათედრის წევრებზე, რომლებიც — დამტკიცებული გეგმის მიხედვით მუშაობენ სამეცნიერო-საკვლევი ხასიათის თემაზე. თითოეულ ფრიადოსანს უკვე მიცემული აქვს კონკრეტული დავალება ავტორთა მიერ; ის გზადაგზა ეცნობა სამეცნიერო-საკვლევო ხასიათის მუშაობის ყველა საფეხურს.

ფრიადოსნებს შორის მეცნიერული მუშაობის ჩვევების დანერგვის მიზნით ფრიადოსნები წერენ რეფერატებს, რომელიც იკითხება სტუდენტთა სამეცნიერო წრეში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგრეთვე ფრიადოსანთა პოლიტიკურ-კულტურული დონის ამაღლებას. ამ მიზნით კათედრამ მოაწყო ფრიადოსანთა ექსკურსია საქ. მუზეუმში პირველყოფილი ადამიანის შესახებ მუდმივ გამოფენაზე.

მთელ ამ მუშაობაში კათედრას კონკრეტულ-ოპერატულ დახმარებას უწევს უნივერსიტეტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია. ამასთან ერთად სისტემატურად უკავშირებდით სტუდენტთა ალმასბიუროს, რომელიც დიდ დაინტერესებას იჩენს ფრიადოსანთა შორის მუშაობის გაშლისადმი.

სტალინის ქვეყანამ მომანიჭა ეს ბედნიერება

1932 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე.

სტალინის ქვეყანაში მეცნიერების შეთვისებისათვის შექმნილია ყოველგვარი პირობა. სტალინური მზრუნველობა ადამიანზე და დიდი ბელადის ღირსეული მოწაფის ამხ. **ლ. ბერიას** აღფრთოვანებული მოწოდება „ფრიადზე" სწავლის შესახებ, მუდამ მახალისებდა და გულში იმედს მინერგავდა.

საამური და მხიარული ცხოვრება სრულ შესაძლებლობას მაძლევდა ჩემი ენერგია ამ დარგში ფართედ გამომეყენებია. ყოველივე ამის შედეგად ვსწავლობდი ფრიადზე და სახელმწიფო გამოცდებზე ჩასაბარებელ ყველა საგანში მივიღე ნიშანი ფრიადი. შევისწავლე 32 ზოგადი და სპეციალური საგანი. თვითეულ საგანში ლექციებზე მოცემული ხაზის და პროგრამების მიხედვით, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის დამუშავებით ვადგენდი კონსპექტს, ყოველთვის ვეხმარებოდი სწავლაში ჩამორჩენილ ამხანაგებს.

ვიზრდებოდი არა მარტო აკადემიურად, არამედ ვისწავლე საზოგადოებრივი და კომკავშირული მუშაობა, ვისწავლე კულტურულად ცხოვრება. უნივერსიტეტში შესვლიდან აქტიურად ვიყავი ჩაბმული კომკავშირის მუშაობაში: ვიყავი ჯგუფორგი, უჯრედის ბიუროს წევრი და ორგსექტორის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრი და სასწავლო სამეცნიერო დარგის ორგანიზატორი. ვხელმძღვანელობდი აგრეთვე პარტისტორიის შემსწავლელ კომკავშირის პოლიტსკოლას ეკ. ფაკულტეტზე. მრავალჯერ ვიყავი დაჯილდოვებული თვიური სტიპენდიით, ლიტერატურით და დასასვენებელ სახლში საგზურით.

დღეს უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული მაქვს და მივიღებ პირველ ხარისხის დიპლომს, რის გამო განვიცდი დიდ სიხარულს. ასეთი სიხარულის განცდა შესაძლებელია მხოლოდ სტალინის ქვეყანაში, სადაც ფრიალებს სტალინური კონსტიტუციის დროშა.

სიტყვას ვიძლევი, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა მოვახმარო სოციალისტური სამშობლოს აყვავებას.

ანდრო ფაცურია.

უფლება-მოვალეობა

ისტორიულად დადასტურებული ჭეშმარიტებაა, რომ ის წოე, რომლისაგანაც მე ვარ გამოსული, მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოვიდა საკაცობრიო ასპარეზზე ადამიანური უფლებებით.

უფლება, რომ მე ვღებულობდი ყოველმხრივ დახმარებასა და მზრუნველობას ხელისუფლებისაგან, მთელ სასწავლო პროცესში სინდისიერად იყო გამოყენებული ჩემს მიერ.

„ფრიადზე" სწავლა ეს იყო ჩემი პასუხი. დღეიდან მე მაქვს ახალი მოვალეობა, სერიოზული და პასუხსაგები. ეს არის პრაქტიკული საქმიანობით გამართლება. უსაზღვრო სურვილი მაქვს, აქაც მოწინავე ადამიანი ვიყო.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ამ სურვილს მე რეალობად ვაქცევ.

პირობას ვიძლევი, რომ ჩემი პრაქტიკული მუშაობით არასოდეს არ შევლახო უნივერსიტეტის ავტორიტეტი.

ბენია ტოროტაძე.

მივიღებ პირველი ხარისხის დიპლომს

ღრმად ჩამწვდა გულში ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ "პირველი ხარისხის დიპლომი მიეცემათ იმ სტუდენტებს, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი ნიშნებით „ფრიადი" ყველა საგნის 3—4-ში მაინც, ხოლო დანარჩენ საგნებში — ნიშნებით „დამაკმაყოფილებელი" და რომლებმაც ჩააბარეს ყველა სახელმწიფო გამოცდები ან დაიცვეს სადიპლომო პროექტები „ფრიადზე".

მაგრამ მიღებული ცოდნით მე არ ვკმაყოფილდები, ვიძლევი სიტყვას უფრო ღრმად, უფრო მეცნიერულად შევისწავლო კაცობრიობის მიერ დაგროვილი კულტურა — მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებათა საფუძველზე.

გ. გვიშიანი.

ფრიადზე ვსწავლობდი ფრიადზე ვიმუშავებ

1932 წ. 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე სასწავლო პროცესის გარდაქმნის შემდეგ საშუალება მომეცა ფართოდ გამეშალა მუშაობა. აქტიურად ჩავები სოც. შეჯიბრებასა და დამკვრელობაში, დრო განაწილებული მქონდა ზუსტად, დამხმარე ლიტერატურას მიზანშეწონილად ვიყენებდი, არც ერთი ლექცია არ გამიცდენია, სისტემატურად ვაწარმოებდი წაკითხულ ლექციების ჩაწერას, კარგად ავითვისე წიგნზე მუშაობის [illegible], რის შედეგად მოვიპოვე ფრიადოსნის საამაყო სახელწოდება.

სახელმწიფო გამოცდები ყველა საგანში ფრიადზე ჩავაბარე.

საზოგადოებრივ მუშაობაშიც მხურვალე მონაწილეობას ვღებულობდი, რისთვისაც სამჯერ დამაჯილდოვეს.

ვტოვებ რა უნივერსიტეტს, სიტყვას ვიძლევი, რომ სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზეც ვიმუშაო „ფრიადზე" და გავამართლო ლენინ-სტალინის პარტიის მზრუნველობა.

მუდამ ვიბრძოლებ იმისათვის, რომ ვიყო სტალინური ეპოქის ღირსეული შვილი.

ალ. ცინცაძე.

ორდენოსანი პროფ. **თვალჭრელიძე** და დამსახურებული პროფ. **ბერიტაშვილი**, სისტემატიურად ეხმარებიან ფრიადოსნებს.

მადლობა ჩემს საუკეთესო ხელმძღვანელთ

ვტოვებ რა უნივერსიტეტს, ოდნავადაც არ მიპყრობს თვითკმაყოფილება და სიტყვას ვიძლევი, რომ ერთი წუთითაც არ შევანელო ბრძოლა მეცნიერების დაუფლებისათვის.

მუდამ მზად ვიქნები პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დავალებათა შესასრულებლად და მტკიცედ დავიცავ ლენინური კომკავშირელის სპეტაკ სახელწოდებას.

ჩემ მიერ ფრიადზე კურსის დამთავრების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა იმ დიდმა მზრუნველობამ, რომელსაც იჩენს პარტია და ხელისუფლება ახალგაზრდობისადმი.

მადლობა პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით გვეპყრობოდენ. უგულითადეს მადლობას ვუძღვნი კერძოდ პროფ. **ვალ. გოგეშვილს**, დოც. **ამ. ბრეგვაძეს**, დოც. **ბ. რამიშვილს**, პროფ. **გ. გეხტმანს**, პროფ. **კ. ბაქრაძეს**, პროფ. **ზ. ჩახვაძეს**, დოც. **ვ. ჩანტლაძეს** და სხვ.

ნიჟა ხურციძე.

ფრიადზე კურსდამთავრებულნი: ვ. ჩხაიძე, თ. ანჯაფარიძე, ალ. ჯაფარიძე, ზალდასტანიშვილი, ა. ცინცაძე, დ. კვეხელავა [illegible] ჩავლიშვილი

„მხოლოდ სიძნელეებთან ბრძოლაში იწრთობიან ნამდვილი კადრები."

ვიყავი ქარხნის მუშა, წერა-კითხვის მცირემცოდნე. ჩემი იდეალი იყო სწავლა და კიდევ სწავლა, მაგრამ სად მქონდა ამის საშუალება.

განათლდა საქართველოს ცა — დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. აფრიალდა **ლენინ-სტალინის** პარტიის დროშა. მე ჩავდექი კომკავშირის რიგებში, სადაც ავიზარდე და მივაღწიე უნივერსიტეტამდე. ფრიადზე დავამთავრე უნივერსიტეტი. მივიღე **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** რევოლუციური თეორიის დაუფლების საქმეში პირველი წრთობა, მაგრამ ეს მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია, „კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალი სამუშაოზე, სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლისას, სიძნელეების გადალახვისას". (**სტალინი**).

დიდი ბელადი გვასწავლის, რომ „მხოლოდ ის კადრებია კარგი, რომელთაც სიძნელეების არ ეშინიათ, რომლებიც სიძნელეებს არ გაურბიან, არამედ, პირიქით, სიძნელეებს ეგებებიან იმისათვის, რომ გადალახონ და ლიკვიდაცია უყონ მათ. მხოლოდ სიძნელეებთან ბრძოლაში იწრთობიან ნამდვილი კადრები."

კადრების პირველი წრთობა, რომელიც ხდება სკოლაში, ფრიადზე ჩავაბარე. ახლა მე ვიღებ მეორე ვალდებულობას — კადრების ნამდვილი წრთობა, რომელიც ხდება ცოცხალ სამუშაოზე სიძნელეებთან ბრძოლისას — ესეც ფრიადზე ჩავაბარო.

ი. მოისრაფეიშვილი.

გვმატებს ახალ ძალას

ფილოლოგიური ფაკულტეტის პოლიტსკოლაში (ხელმძღვანელი ი. მირცხულავა) წარმატებით მიმდინარეობს დიდი სტალინის გენიალური მოხსენებისა და სტალინური კონსტიტუციის დამუშავება.

კამათში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ყველა მსმენელი.

— სტალინური კონსტიტუცია ჩვენ გვმატებს სიცოცხლეს, ახალ ძალას და ენერგიას სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, განაცხადეს შ. ნუცუბიძემ, ბრეგვაძემ, ბალიაურმა და სხვებმა.

ს. თურნავა.

გამოირკვევა მომზადების დონე

ახალგაზრდა მეც. მუშაკთა სრულიად საკავშირო კონკურსი მეცნიერულ ნაშრომზე, რომელიც საკ. ა. ლ. კ. კ.-ს ინიციატივით ტარდება მეტად ფართე პერსპექტივებს უსახავს ახალი მეცნიერული ძალების მუშაობას. კონკურსი გამოარკვევს მომზადების იმ დონეს, რომელიც სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის მომავალ მეცნიერულ ძალთა არმიას გააჩნია მეცნიერების მწვერვალების დაპყრობის საქმეში. ის კიდევ ერთხელ ნათელ ჰყოფს, რომ საბჭოთა წყობილება ერთად-ერთი სახელმწიფოებრივი სისტემაა, რომელიც მეცნიერებას — კარჩაკეტილი, მასებისაგან მოწყვეტილი მდგომარეობიდან, ნამდვილად სახალხო საკუთრებად და მის მიღწევად ხდის.

მე ვმუშაობ ორ თემაზე, რომელთაგან ერთი უშუალოდ ჩემს დარგს განეკუთვნება: „ვისრამიანის და ტრისტან-იზოლდას ურთიერთობისათვის" და მეორე, ზოგად ლიტერატურულ-მეთოდოლოგიურ საკითხს — „კრიტიკა, როგორც მხატვრული აზროვნების დიალექტიკური მეთოდი".

კონკურსის შედეგების შეჯამებამდე, ვფიქრობ, შევძლებ ამ თემების ღირსეულად დამუშავებას იმ ხელისშემწყობ პირობებში, რომელნიც ჩვენს უნივერსიტეტსა და მასთან არსებულ რუსთველის ინსტიტუტშია შექმნილი.

გ. იმედაშვილი.

როგორ ვემზადებით სესიებისათვის

იურიდიულ ფაკულტეტზე ფართოდ გაიშალა სესიებისათვის მოსამზადებელი მუშაობა. ფაკულტეტის საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა ფაკულტეტის დეკანის პროფ. **ირ. სურგულაძის** მოხსენება სესიებისათვის მზადებასთან დაკავშირებით. კრებამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რასაც სტუდენტები ცხოვრებაში ატარებენ.

მუშაობის ძირითად მეთოდად გამოყენებულია ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტაციები, რომლის ცხრილი უკვე გამოკრულია.

ფაკულტეტის კ. კ. ორგანიზაციამ თავის სხდომაზე მოისმინა 3 ამხანაგის თვითანგარიში სესიების მზადებასთან დაკავშირებით. მიღწევებთან ერთად გამოირკვა ნაკლოვანებანიც, რომელთა აღმოსაფხვრელად შემუშავდა სათანადო ღონისძიებანი. სესიებამდე ჩაბარებული საგნებიდან სჩანს კ. კ. ავანგარდული როლი. მაგალითად, თუ გასულ წელს ფაკულტეტზე გვყავდა კომკავშირის წევრი-15 ფრიადოსანი და 12 წარჩინებული, ახლა კომკავშირელ ფრიადოსანთა რიცხვი უდრის 40 ს.

თ. მეზურნოვი.

შვიდი საგნისთვის ერთი კაბინეტი

უნივერსიტეტის გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტი დღემდე არ აქცევს სერიოზულ ყურადღებას კაბინეტების წესიერად მოწყობის საქმეს.

ფაკულტეტის ფიზიკურ გეოგრაფიის კათედრა კაბინეტების მოწყობის საქმეში სხვა კათედრებს სამარცხვინოდ ჩამორჩება. აღნიშნულ კათედრასთან დღემდე არ არის საბჭოთა კავშირის და კაპიტალისტური ქვეყნების ფიზიკური გეოგრაფიების კაბინეტები. უკაბინეტებოთ არიან დარჩენილი აგრეთვე ტოპოგრაფია, კარტოგრაფია, გეოდეზია და ასტრონომია. უფრო აღმაშფოთებელი და მოუთმენელია ის გარემოება, რომ ყველა ჩამოთვლილ საგნებისათვის საჭირო ნივთები, ხელსაწყოები და დიაპოზიტივები მოთავსებულია გეომორფოლოგიურ კაბინეტის ოთახში. ამგვარად, 7 საგნისთვის ერთი კაბინეტი არსებობს, სადაც შეუძლებელია ნორმალური მუშაობა. ასეთი მდგომარეობა სასწრაფოდ გამოსწორებული უნდა იქნას. ფაკულტეტის დეკანატმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს კაბინეტების წესიერად მოწყობისა და მათი მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

ს. კომელი.

ბედნიერი ვარ

გარკვეული დისციპლინისა და გეგმიანი მუშაობის გარეშე სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება შეუძლებელია. თავიდანვე შევადგინე სამუშაო გეგმა და ყოველდღე ენერგიულად ვიბრძოდი მისი განხორციელებისათვის. ხშირად დღე-ღამეში 18-20 საათს ვმუშაობდი.

დღეს ბედნიერად ვთვლი თავს, რომ შრომა უნაყოფოთ არ დამეკარგა — სახელმწიფო გამოცდები ჩავაბარე „ფრიადზე". ძველი ცოდნის განმტკიცებასთან ერთად მრავალ ახალ მასალასაც გავეცანი.

აკ. ჩავლეიშვილი.

ფრიადზე კურსდამთავრებულნი: გ. ჯიჯეიშვილი, დ. ავაზიშვილი, ვ. მაჩიტაძე

160 ფრიადოსანი

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ 1936 წ. სახელმწიფო გამოცდების ჩატარებისათვის სამზადისი ჯერ კიდევ სექტემბერში დაიწყო.

წინა წლებთან შედარებით ჩატარებულმა გამოცდებმა ცხადყო სტუდენტობის მომზადების მაღალი დონე და საგნების საფუძვლიანი ცოდნა.

1936 წ. სახელმწიფო გამოცდებზე გამოცხადებულ 466 კაციდან ფრიადზე ჩააბარა 160 სტუდენტმა.

ჩვენი უნივერსიტეტის შესანიშნავი ადამიანები

ჩვენ უნივერსიტეტს ყავს შესანიშნავი ადამიანები, რომელთა შორის **კ. კეკელიძეს** თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ის ერთერთი ძირითადი მუშაკია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღიდან მისი დაარსებისა.

1937 წელს მას უსრულდება 30 წელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 25 წელი პროფესორობისა.



პროფ. კ. კეკელიძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ის თავიდანვე განაგებს ძველი ქართული ლიტერატურის (5—19 საუკ.) კათედრას, გარდა ამისა ეწეოდა და ეწევა ადმინისტრატიული ხასიათის მუშაობასაც. ექვსი წელიწადი იყო სასწავლო ნაწილის პრორექტორად, ხოლო 11 წელიწადი—დეკანად, ამჟამად არის ფილოლოგიური ფაკ. დეკანი.

1907 წლიდან დაწყებული დაბეჭდილი და გამოქვეყნებული აქვს 70-მდე კაპიტალური სამეცნიერო შრომები ქართულ-რუსულ და ბერძანულ ენებზე; ზოგიერთი ამ შრომიდან, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნათარგმნია უცხო ენებზე.

რუსთველის სახელობის საკვლევო ინსტიტუტში ხელმძღვანელობს ძველი ქართული ლიტერატურის სექციას და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს მომზადებას ძველ ქართულ ლიტერატურის ისტორიაში.

ამჟამად ამზადებს შრომებს:

1. „კლასიკური ხანის (11—13 საუკ.) ქართული კულტურა და ლიტერატურა“ (დაკავშირებით რუსთველის 750 წლის იუბილესთან).

2. Liber Generationis ქართული ვერსია (საშუალო საუკუნეთა ეთნოლოგიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა).

3. ამუშავებს და მეორე გამოცემისათვის ამზადებს „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორსავე ტომს.

გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა, პროფ. კ. კეკელიძე ეწევა საზოგადოებრივ მუშაობასაც: ის აქტიური წევრია ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობისა, ამით აიხსნება, რომ ის არჩეულ იყო საქართველოს ცაკის წევრად, ამიერკავკასიის ცაკისა და სამჯერ თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოში.

ფერხდება ნორმალური მუშაობა

ბიოლოგიურმა ფაკულტეტმა თავიდანვე ძალზე სუსტად გაშალა მუშაობა ს.ს.ს რ. კავშირის სახკომსაბჭოს და ს.კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის 1936 წ. 23 ივნისის დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის, რაშიაც დიდი დანაშაული მიუძღვის ბიოლოგიის ფაკ. ძველ ხელმძღვანელებს. ავალაპარაკოთ ფაქტები: ფაკულტეტზე არსებობს ზოოლოგიის, გენეტიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიის და სხვა კაბინეტები, მაგრამ ბოტანიკის კაბინეტში გაერთიანებულია ფიტო-გეოგრაფიის, მორფოლოგიის, სისტემატიკის და სხვა კაბინეტები. ასევეა ზოოლოგიის კაბანეტში—მასთან არსებობს ხერხემლიანთა და უხერხემლოთა ზოოლოგიის, ზოოგეოგრაფიის, ენტომოლოგიის და სარეწაო ცხოველების კაბინეტები. ამის გამო კაბინეტებში ნორმალური მუშაობის წარმოება შეუძლებელი ხდება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი კაბანეტი დღემდე განიცდის საჭირო ხელსაწყოების ნაკლებობას: კაბინეტებს არ მოეპოვებათ მიკროსკოპები და საერთოდ ოპტიკური ხელსაწყოები.

როგორაა მოწესრიგებული სასწავლო დროის ორგანიზაცია? არც ამ მხრივ არის სახარბიელო მდგომარეობა: სსრ სახკომსაბჭოსა და სკპ (ბ) ცეკას 23 ივნისის დადგენილება მიგვითითებს, რომ სასესიო საგნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3, მაგრამ ფაკულტეტის IV კურსის № 93 ჯგუფ სასესიოდ აქვს 3 საგანი, V კურსის № 67 ჯგუფს 4; და ასევე III კურსებს 4—4 საგანი. ეს იმ დროს როდესაც III კურსს დამოუკიდებელ მუშაობისათვის ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილების მიუხედავად არა აქვს გამოყოფილი ექვსდღიურში არც ერთი დღე.

მდგომარეობის ასე გაგრძელება ყოვლად მოუთმენელია. ბიოლოგიურ ფაკულტეტის დეკანატმა სასწრაფოდ უნდა აღმოფხვრას ყველა არსებული ნაკლოვანებანი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკპ (ბ) ცეკას 23 ივნისის ისტორიული დადგენილების საფუძველზე.

ი. ნ--ძე.

ავაგოთ ახალი თბომავალი „კომსომოლი“

16 დეკემბერს ხმელთაშუა ზღვაში ესპანეთის სანაპიროებთან ფაშისტურმა პირატებმა ცეცხლი წაუკიდეს და დაძირეს ჩვენი დიადი სამშობლოს თბომავალი „**კომსომოლი**“.

ეს იყო ფაშისტების მორიგი პროვოკაცია— მიმართული პროლეტარული სახელმწიფოს მიმართ. ფაშისტების ასეთი საზიზღარი საქციელი აღშფოთებას და სიძულვილს იწვევს ჩვენი სოციალისტური ქვეყნის მშრომელებში, რომლებიც უფრო დიდი ენტუზიაზმით დაირაზმებიან ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ და ფაშისტური პირატების საპასუხოთ ააგებენ ახალ, უფრო ძლიერ თბომავალ „კომსომოლს“. ამ მიზნით გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკ. მე2-კურსის 152 ჯგუფის სტუდენტებს თბომავალ „კომსომოლ“-ის ასაგებ ფონდში შემოგვაქვს 60 მანეთი.

მოწინავენი არიან: გ. ზარდალიშვილი, შემოიტანა—10 მან., მეტრეველი—5 მან., ლეჟავა—4 მ., და სხვ.

ვიწვევთ ამავე ფაკულტეტის 151 და 153 ჯგუფის სტუდენტებს.

ლი—ლი.

თ. ს. უ. საბავშო კერის ბავშვები მუდამ მხიარულად და შინაარსიანად ატარებენ დროს. სურათზე: ბავშვთა გართობის ერთერთი მომენტი.

ფაკულტეტების ქრონიკა

★ ბიოლოგიის ფაკულტეტზე მიმდინარე წელს ეწყობა გენეტიკის ლაბორატორია. მიღებულია ზომები ხელსაწყოთა შესაძენათ.

★ **გეოლოგიური ფაკულტეტი** ემზადება საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესისათვის, რომელიც შესდგება მოსკოვში 1937 წ. ივლისში.

★ **ხარკოვის უნივერსიტეტის დოცენტი გედე** ჩამოვიდა ტფილისში პროფ. კ. კეკელიძისაგან კონსულტაციის მისაღებად. გედეს განზრახული აქვს სადოქტორო შრომა დაიცვას ძველი ქართული ლიტერატურიდან.

სახელმწიფო საკ. სამეც. კომიტეტის წინადადებით ისტორიის ფაკულტეტის მიერ გამოყოფილია მოსკოვსა და ლენინგრადში მისავლინებლად სამი მეცნიერი მუშაკი, რომლებიც დაამუშავებენ მეცნიერულ თემებს.

ივ. ბეგლაროვი

რაფფი*)

იაკობ მელიქ-აკოფიანი.

(დასასრული)

რაფფი, როგორც მწერალი, განსაკუთრებით 1877 წელს დავაჟკაცდა. ეს ის პერიოდია მის შემოქმედებაში, როცა მან თავისი დიდ მოთხრობების გამოქვეყნებით („ჯალალ-ედინ“, „სომეხი დედაკაცი“ „სომხის ახალგაზრდობა“, „ცეტი“, („ხენთი“) „დავით ბეგი“ I, II და III ტომი, „ხაჩიგოლა“, „ნაპერწკლები“ I, II, III ტომი*), „ოქროს მამალი“ და „სამუელი“. ყველა ზემოაღნიშნული შრომები მოთავსებულია „„არწივ ვასპურაკანში“, „ფორძში“, მიუსისსაფაელში“, „არძაგანქში“, „ალბიურში“, და სხვ.) დემონსტრაცია უქნა თავის ნიჭს, დიდ გაქანებით ტალანტს, ცხოველ ფანტაზიას. ყოველივე ამან რაფფი ხალხის თვალში უფრო გაზარდა. ამიტომაც იყო, რომ 1884 წ. თებერვალში რაფფის სალიტერატურო მოღვაწეობის თარიღი ზეიმით იქნა აღნიშნული. სალიტერატურო მოღვაწეობის სამი ათეული წლის თავზე (1888 წ.) რაფფი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა თბილისში. დასაფლავებული იქნა ხოჯევანქის სასაფლაოზე.

რაფფის გამოუქვეყნებელი დარჩა: „სალბი“, რომელიც ეხება ირანელ სომხების ცხოვრებას. „ზაჰრუმარი,“ „ერთი ესრე, მეორე ისრე“ და სხვა.

რაფფის ნაწერები სხვადასხვა ენაზეა ნათარგმნი. ჩვენ ქვემოთ ვასახელებთ იმას, რის თავის მოყრაც შევძელით; ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ თარგმნილია: „ხაზფუშ“, „სპარსელების ჰარამხანაში“, „ჯალალ—ედინი“ და „ბიბი შარაბანი“. რუსულ ენაზე: „ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲒᲘ“ (იბეჭდებოდა „Кавказский курьер“-ში 1881 წელს № 60—146, თარგმანი ,დაუსრულებელია), „სპარსელების ჰარამხანაში“ (გამოვიდა 1883 წ. „რუსკია ვედომოსტში“), „ბიბი შარაბანი“ (იხ. „Новое Обозрение“. 1890 წ. № 2309—2313, თარგმანი დაუსრულებელია, რადგან დასაწყიში რაფფის ცოლთან შეუთანხმებლობამ აკძალვამდე მიიყვანა საქმე), „ჯალალ-ედინი“ (იხ. 1891 წ. „Русская мысль“-ის ბოლო ნომერი და ქართულად: „ბატონიშვილის ალექსანდრეს ცხოვრება სპარსეთში“ (დაიბეჭდა „დროებაში“) ხოლო ცალკე წიგნებად გამოცემულია „ხენთი“, „უბედური რიფსიმე“ და სხვა.

რაფფი თავის ნაწარმებს უმეტეს შემთხვევაში ფსევდონიმით აქვეყნებდა. მისი ფსევდონიმები იყო: „ალექსანდრ რაფფი“, „რაფფი,„ მელ“, „იაკობ მელიქ მირზაბეგიანცი“, „მელიქზად“ და ხშირად თავის გვარაც აწერდა.

რაფფის შემოქმედებაში ისტორიული მასალაა ჩაქსოვილი ამ მხრივ საყურადღებოა მისი „ხენთი“ („ხელი“, „სულელი“. „ცეტი“, „შეშლილი“), რომელიც შეეხება 1877—78 წლების რუსეთ—იაპონიის ომს. რომანის მთავარი გმირი ვართანა ცდილობს სომხეთის გენერალს ტერლუკასოვს გადასცეს წერილი დახმარების სათხოვნად; ვართანა გახვეულია სიყვარულის ალში. მას გაგიჟებით უყვარს ხაჩოს ქალი ლალა. ომი დასასრულს უახლოვდება. ერთი რაიონის გარდა მთელი მიდამო ხელახლად თურქებმა ჩაიგდეს ხელში ამის შემდეგ იმედ-დაკარგული ვართანა ლტოლვილებთან ერთად მიისწრაფვის ეჩმიაწინისაკენ, რათა თავის სულს მოუპოვს შვება

რაფფის შემოქმედებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „ხაჩაგოლა“, თვით სათაური ორი სიტყვის შენაერთია, პირველ ნაწილი „ხაჩ“ ნიშნავს ჯვარს, ხოლო მეორე ნაწილი „გოლ“ ქურდს, ამრიგად „ხაჩაგოლა„ ნიშნავს „ჯვრის პარიას“. რომანი ფარდას ხდის და ააშკარავებს სასულიერო პირთა მუხანათობას. რომანის მთავარი მოქმედი გმირი თვით ხაჩაგოლაა. იგ ცოლშვილს უპატრონოდ ტოვებს, არის აფერისტი, არც მკლელობას გაურბის. ხაჩაგოლას ტიპი ავტორს თავისივე სოფლის სინამდვილიდან ჰყავდა აყვანილი.

რაფფის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან სომხურ ენაზე შექმნა ახალი სამწერლო ენა. მისი შემოქმედების დამახასიათებელია განცდათა სიუხვე და დამაჯერებლობა. მისი გმირები მკითხველის თვალწინ დადიან, რაც შეეხება მის ენას, უნდა აღინიშნოს, რომ მას ახასიათებს მოქნილობა და სისადავე, ლიტერატურული ენის ნორმების მტკიცედ დაცვა. რაც მთავარია, სიტყვას ის ისე იყენებს, როგორც არავინ, და სიტყვაც ისე ემორჩილება, როგორც არავის.

რაფფი აბოვიანის შემდეგ სომხურ მწერლობაში ახალი მიმართულების შემქმნელია. სომხური პროზა გამოიყვანა სოფლის აღწერილობიდან და მას ფართო შემოქმედებითი გზა გადაუშალა. მის შემოქმედებაში რომანტიზმი შერწყმულია რეალიზმთან, ფანტასტიკა—სინამდვილესთან. ამიტომაც იყო, რომ დ. ტერ-დავთიანცი, ბ. ეზეკიანთან ერთად რაფფის სიკვდილის გამო წერდა; „ᲘᲒᲚᲝᲕᲔᲗ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲝ, ᲐᲚᲐᲠᲐ-ᲒᲧᲐᲕᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲩᲐᲜᲒᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ, ᲘᲒᲚᲝᲕᲔᲗ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲝ, ᲐᲚᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲡ ᲦᲐᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲓᲐᲗ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ, ᲐᲦᲫᲠᲐᲕᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲫᲐᲠᲦᲕᲔᲑᲨᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲮᲘᲖᲚᲔᲑᲓᲐ“.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო და ქართველები უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებდა რაფფიზე. და სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აღნიშნულ საკითხს მის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავს. მას ხიბლავდა საქართველოს მდიდარი ბუნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მან თავისი შემოქმედებით [illegible] გაშალა თბილისელ სომეხთა კარ-მიდამოებში და ამ გზით მოგვცა მათი ყოფა-ცხოვრების ნათელი სურათი. ამ თვალთა ხედვით თუ მიუდგებით საკითხს ყურადღების ღირსია „ზედ—სიძე“ რომლის შესავალი ყაზბეგის ბუნების აღწერით იწყება: „ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲘᲧᲝ. ᲛᲖᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲡ ᲝᲥᲠᲝᲡᲤᲔᲠᲐᲓ ᲛᲝᲔᲤᲘᲜᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲗᲝᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲗᲔᲑᲘ. ᲡᲐᲧᲓᲠᲘᲓᲐᲜ ᲖᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲙᲕᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲡᲛᲝᲓᲐ, ᲰᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲩᲥᲐᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲨᲘ ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲐᲓ“.

მოთხრობა „ახედაც, იხედაც“ თბილისელ სომეხ ვაჭრების ცხოვრებას მოგვითხრობს. აგრეთვე გამოყვანილია ქართველი ტიპებიც.

გარდა ზემოდასახელებული მოთხრობებისა, რაფფის აქვს დაწერილი მთელი რიგი ნაწარმოებები, სადაც საქართველო და ქართველები ყურადღების ცენტრში ჰყავს მოქცეული. ამ მოთხრობათა კატეგორიას მიეკუთნება: „ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲨᲘ“, რომელიც ისტორიულ ფონზეა გაშლილი და „ᲖᲐᲰᲠᲣᲛᲐᲠᲘ“, რომელიც შეეხება ერთი მხრივ თბილისელ სომეხთა ცხოვრებას და მეორე მხრივ საქართველოს მდიდარ ბუნებას. მოთხრობაში მოცემულია პატრიარქალური სოფლის მცხეთის აღწერილობა.

რაფფის შემოქმედება უსათუოდ თავისებური ორიგინალური ხასიათისაა. სომეხთა გამოჩენილ რომანტიკოსის აბოვიანის შემდეგ უდიდესი ფიგურაა, თავის წინამორბედზე არანაკლებ ნაციონალური პანგებით მღაღადებელი. იგი თავისი შემოქმედებით რომანტიზმის და რეალიზმის მიჯნაა. უფრო სამართლიანი იქნება თუ ავღნიშნავთ, რომ მან ნიადაგი მოუმზადა სომხურ რეალისტურ მიმართულებას, რომლის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება სიტყვის ჯადოქარი ალექსანდრე შირვანზადე.

---

*) დასაწყისი იხილე „ბოლ. კად.“ 24 (83)-ში.

*) „ნაპერწკლები“-ს მესამე წიგნი და „ერთი ესრე, მეორე ისრე“ რაფფის სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნა.

პ.-მგ. რედაქტორი:
პ. ხოგუა

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლიტოგრაფია
მთავლიტის რწმუნებული № 15691—6